საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2089-03
05/08/2020

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 5 აგვისტოს N 2085-03 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრიული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს დამატება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის წესით ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სადოქტორო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის, საბუთების მიღებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 5 აგვისტოს N 2085-03 ბრძანებაში და დაემატოს ზემოთ აღნიშნული ბრძანების მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები ამ ბრძანების დანართში წარმოდგენილი სახით.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

დიმიტრი ჯაფარიძე



დეკანი